

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება

შრომის და სოციალური უფლებების პრობლემატიკის მიმართ

თამთა კაკულია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, სოფიკო ზვიადაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა კაკულია

21.06.2018

სარჩევი

აბსტრაქტი	4
Abstract.....	6
შესავალი	7
1.1 კვლევის მიზანი, პრობლემატიკა და მეთოდოლოგია.....	11
1.2 შრომის და სოციალური უფლებების პრობლემატიკა. სამართლებრივი განზომილება..	16
1.3 ეკლესიის სოციალური მსახურება.....	19
თეორიული მიმოხილვა.....	23
2.2 რელიგიის დაბრუნება - დებატები რელიგიის როლზე საჯარო სფეროში	23
2.3 სამეცნიერო კვლევები და სტატისტიკა	27
კვლევის შედეგები	30
3.1 სასულიერო პირების ინფორმირებულობა სოციალური და შრომითი უფლებების პრობლემატიკის მიმართ.....	30
3.2 მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება შრომითი და სოციალური უფლებების პრობლემატიკის მიმართ	36
3.3 თანამედროვე მართლმადიდებლური ეკლესიის სოციალური როლი და ფუნქცია სასულიერო პირების პერსპექტივიდან.....	43
3.4 რელიგია უმუშევრობის, სიღარიბისა და უსახლკარობის დამღევის ალტერნატივა?!.....	46
3.5 ეკლესიის საჯარო როლის სოციალური განზომილება - მართლმადიდებლური ეკლესიის სოციალური მსახურება.....	52
დასკვნა	57
ბიბლიოგრაფია	60

აბსტრაქტი

საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ახლებური ფორმა ჩამოყალიბდა. რელიგიური და სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთობის მოდელმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. გაჩნდნენ დაპირისპირებული მხარეები, ეკლესიის აპოლოგეტები და კრიტიკოსები. ეკლესიის მზარდი გავლენის ფონზე, რომელიც მნიშვნელოვანი დეტერმინანტი გახდა საჯარო სივრცის ტრანსფორმაციის პროცესში, რელიგიის პრივატიზების საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია. ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველოში არ განხორციელებულა არცერთი დემონსტრაცია, რომელშიც ეკლესიას კონკრეტული მხარე არ ჰქონდა არჩეული.

წინამდებარე კვლევითი ნაშრომი გვაძლევს საშუალებას გავაანალიზოთ, თანამედროვე ქართული ეკლესია სად ხედავს თავის სოციალურ ფუნქციას, არის თუ არა სოლიდარობის, ემპათიისა და საზოგადოების კონსოლიდაციის დეტერმინანტი. დასახელებული თემის მუდმივი აქტუალობის და ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული ნაშრომების სიმცირის გათვალისწინებით, აკადემიური ნაშრომი მიზნად ისახავს იკვილიოს: მართლმადიდებლური ეკლესიის როლი ქართულ საჯარო სივრცეში. გარდა ამისა ნაშრომის მიზანია, დაადგინოს ეკლესია, რომელსაც აქვს საზოგადოების მობილიზების უნარი, გამოხატავს თუ არა თანადგომასა და სოლიდარობას, მშრომელების მიმართ, აქვს თუ არა ემპათიის განცდა შრომითი ან სოციალური უფლებების პრობლემატიკის მიმართ. ატარებს თუ არა რაიმე სახის ღონისძიებას მარგინალიზებული და სტიგმატიზირებული ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციისთვის.

ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენს სასულიერო პირების ძირითადი იდეების იდენტიფიცირება და ტენდენციური პრეცედენტების გამოვლენა.

საკვანძო სიტყვები : რელიგია, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, სასულიერო პირები, მშრომელები, სახელმწიფო, შრომითი უფლებები, სოციალური უფლებები.

Abstract

After the collapse of Soviet Union in Georgia, the new form of relationship established between church and state. The model of religious and public institutions caused heterogeneous reactions. Suddenly appeared contrastive parties, the apologists and critics. In the light of progressive development of church, which became the important determiner in the process of public space, the privatisation of religion became the secondary subject. According to recent decades, there were not demonstrations in Georgia in which the church would be independent, without supporting any specific party.

The current study gives the possibility to research where does the modern Georgian church see its social function, is the GOC promoter of solidarity and empathy and if it contributes to the consolidation of society. Considering the subject as today's greatest concern and according to the lack of works on such topics, the main point of academic work is to research: the role of the Georgian orthodox church in Georgian public space. Apart from this, the main aim of paper is to find the church, which has the ability to mobilize the society, if it expresses compassionate and solidarity toward labourers or not. If it has the empathy toward the labour and social rights problematic. Also, the subject of research is to identify the main ideas of clergymen and to show tendentious precedent.

Keywords: Religion, Church, Clergymen, Labours, State, Labour rights, Social rights.